საქართველო
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის
ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

N 1490
09/06/2017

1490-01-4-201706091142

„ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის საჯარო მოსამსახურეებისა და სტრუქტურული ერთეულებისათვის მობილური ტელეფონებით სარგებლობისათვის საჭირო თანხებისა და ტრანსპორტით უზრუნველსაყოფად აუცილებელი საწვავის ზედა ზღვრული ლიმიტების განსაზღვრის თაობაზე" ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის 2014 წლის 16 ივლისის №628 ბრძანებაში ცვლილებების შეტანის შესახებ

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო პოლიტიკისა და სახელმწიფო შესყიდვების სამსახურის 2017 წლის 19 მაისის №5392-01 წერილის შესაბამისად, მიზანშეწონილია საჯარო მოსამსახურეებისა და სტრუქტურული ერთეულებისათვის გამოყოფილი საწვავისა და მობილური ტელეფონებით სარგებლობის საჭირო თანხების ზედა ზღვრული ლიმიტების შეცვლა.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ორგანული კანონის "ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი"-54-ე მუხლის პირველი პუნქტის „ე.ე" ქვეპუნქტის საფუძველზე.

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1.შეტანილ იქნას ცვლილება „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის საჯარო მოსამსახურეებისა და სტრუქტურული ერთეულებისათვის მობილური ტელეფონებით სარგებლობისათვის საჭირო თანხებისა და ტრანსპორტით უზრუნველსაყოფად აუცილებელი საწვავის ზედა ზღვრული ლიმიტების განსაზღვრის თაობაზე" ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის 2014 წლის 16 ივლისის №628 ბრძანების №2 დანართში და ჩამოყალიბდეს თანდართული რედაქციით /დანართი თან ერთვის/.

2.ბრძანების შესრულების კონტროლი განახორციელოს ქ.ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის უფროსმა, ზვიად ჯავახიამ.

3.ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს კანონით დადგენილი წესით, ქუთაისის სასამართლოში /ვ. კუპრაძის ქ. №11/, მისი გაცნობიდან ერთი თის ვადაში.

4.ბრძანება ძალაში შევიდეს 2017 წლის 1 ივნისიდან.

შოთა მურღულია

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერი

დანართი № 2

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის სამსახურებისათვის მობილური ტელეფონებით სარგებლობისთვის საჭირო თანხებისა და საწვავის ყოველთვიური

ზედა ზღვრული ლიმიტების შ ე ს ა ხ ე ბ

№	სამსახური	მობილური ტელეფონებით სარგებლობისთვის საჭირო თანხების ლიმიტები /ლარი/	საწვავის ლიმიტები /ლიტრი/
1	ქალაქ ქუთაისის მერიის **ინფრასტრუქტურის** განვითარების, კეთილმოწყობისა და დასუფთავების სამსახური	270	1600 ლტ საწვავი 250 მ³ თხევადი დაჭირხნული აირი
2	ქალაქ ქუთაისის მერიის არქიტექტურისა და ზედამხედველობის სამსახურის	280	750
3	ქალაქ ქუთაისის მერიის საფინანსო პოლიტიკისა და სახელმწიფო შესყიდვების სამსახური	300	200
4	ქალაქ ქუთაისის მერიის ეკონომიკური განვითარების, ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის მართვის სამსახური	250	600
5	ქალაქ ქუთაისის კულტურის, სპორტის, განათლების, ძეგლთა დაცვისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახური	150	200
6	ქალაქ ქუთაისის მერიის სოციალურ საკითხთა სამსახური	150	250
7	ქალაქ ქუთაისის მერიის სამხედრო სამსახური	150	200
8	ქალაქ ქუთაისის მერიის საგზაო ინფრასტრუქტურის მართვისა და განვითარების სამსახური	600	1500
9	ქალაქ ქუთაისის მერიის ადმინისტრაციული სამსახური	810	1970
	ჯამი	2910	7270 ლტ საწვავი 250 მ³ თხევადი დაჭირხნული აირი